„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლევან ასათიანი

ასპინძის სიახლენი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * ოქტომბერი. 2024 * (8)101

მოსახლეობას – განსაკუთრებული ყურადღება!

მიმდინარე წლის ცხრა თვეში ასპინძის მუნიციპალიტეტში არაერთი მნიშვნელოვანი სოციალური, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, თუმცა ამ ეტაპზე სხვა კიდევ ასევე მნიშვნელოვანი პროექტის ხორცშესხმა მიმდინარეობს.

2025 წელს იგეგმება და განხორციელდება კიდევ ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი, სადაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა,” რომელიც განისაზღვრა მიმდინარე წელს და მომავალ 2025 წელს გაგრძელდება დაბასა და სოფლებში.

ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს დაბაში ჩიხების, სანაპიროს ქუჩის, სოფლების ტოლოშისა და დამალის საჯარო სკოლების, მუსიკალური სკოლისა და ბიბლიოთეკის, ოშორაში შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, დაბაში საყრდენი კედლების მოწყობა, აგარის მონასტერთან მისასვლელი, იდუმალაში, დამალასა და ოთაში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია, დაბა ასპინძაში, სოფლებში რუსთავსა და ვარგავში გარე განათების მოწყობა და სხვ.

მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის მიზნით, მუნიციპალიტეტში სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციაც აქტიურად მიმდინარეობს. სანაპიროს ქუჩაზე მოეწყო ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი, ამ ეტაპზე სპორტული მოედნის მშენებლობა მიმდინარეობს გურამიშვილის ქუჩაზეც, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა – 2024"-ის ფარგლებში კი მუნიციპალიტეტის 4 სოფელში: საროში, თოკში, ვარგავსა და თმოგვში დასრულდა სასმელი წყლის ქსელის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სხვა დანარჩენ სოფლებშიც დაიწყო და გრძელდება ანალოგიური სამუშაოები, რომელიც მოსახლეობის მოთხოვნების გადაწყვეტილებით საერთო კრებებზე იქნა შერჩეული.

იმის მიუხედავად, რომ ჯერ ეს წელი არ დამთავრებულა, მერია ამთავითვე შეუდგა მომავალი წლისთვის განსახორციელებელი პროექტებისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებას, კერძოდ, 2025 წელს დაგეგმილი და გათვალისწინებულია მოსახლეობის მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილება, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა მიმართულებით მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას, მათ შორის – მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების რეაბილიტაციას, თანამედროვე სტანდარტებზე გათვლილი კიდევ ერთი საბავშვო ბაღის მშენებლობას, სოფელ ძველისა და თმოგვის ბაღების მსგავსად. მუნიციპალიტეტის მერიას შემუშავებული აქვს როგორც დაბაში, ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებში ადმინისტრაციული შენობების, დაბის დარჩენილი ქუჩებისა და ჩიხების, სოფლების შიდა საუბნო გზების, აგრეთვე კლუბების, მოედნებისა და სკვერების კეთილმოწყობა.

მერიის თითოეული აქტივობა მიმართულია მოსახლეობის საჭიროებებზე. სოციალური პროგრამები ძირითადად განსაზღვრულია „მოქალაქეთა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამით“ და მორგებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეთა საჭიროებებზე, რაც უპრეცედენტოა და მოსახლეობასთან ინტენსიური შეხვედრების დროს გამოიკვეთა.

მუნიციპალიტეტი მომავალ წელს კვლავაც დააფინანსებს ბენეფიციარების ერთჯერად უფასო კვებას, ქირურგიულ ოპერაციებს. დემოგრაფიული საკითხებიდან გამომდინარე – ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს მოსახლეობის მოთხოვნებს, იზრუნებს მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერაზე, მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, რომელიც მერიას ამთავითვე აქვს შემუშავებული ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმის მიხედვით, აგრეთვე მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ სტატუსის მქონე მოსწავლეთა სასწავლო პროცესის ხელშეწყობის მიზნით საკანცელარიო, სასწავლო და პირადი ნივთების შესაძენად ფინანსური მხარდაჭერას. ასევე სტუდენტების ფინანსურ დახმარებას; გარდა ამისა, ვითვალისწინებთ რეგისტრირებული სტუდენტი დედების, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების, წარმატებული სტუდენტების და ერუდირებული ახალგაზრდების ფინანსურ დახმარებას, მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერად ფინანსური დახმარებას, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ომისა და სამხედრო ძალების, იძულებით გადაადგილებულ პირთა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ვეტერანთა და მათ ოჯახის წევრთა დახმარებას. მუნიციპალიტეტის მერია მზადაა მიიღოს და განიხილოს მოსახლეობის მიერ შემოთავაზებული წინადადებები, რომლებიც მუნიციპალიტეტის კეთილდღეობაზე იქნება ორიენტირებული.

მერიის თითოეული ნაბიჯი მოსახლეობის ინტერესებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან თანხვედრაშია.

როსტომ მაგრაძველიძე,
მუნიციპალიტეტის მერი

„შოთაობა“ რუსთავში

29 სექტემბერს ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავში ტრადიციული „პოეზიის სახალხო დღესასწაული - შოთაობა-2024" გაიმართა.

ღონისძიების დასაწყისში ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელმა პირებმა მოწვეულ სტუმრებთან ერთად დაბის ცენტრში, სამკუთხა პარკში მდებარე და სოფელ რუსთავში, შოთა რუსთაველის ძეგლები გვირგვინითა და ყვავილებით შეამკეს.

დღესასწაული დამსწრე საზოგადოებას მიულოცეს ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა მეუფე თეოდორემ, ახალციხის, ადიგენის, ბორჯომისა და ასპინძის მაჟორიტარმა დეპუტატმა ანტონ ობოლაშვილმა, სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ დავით ვარდიაშვილმა და ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ.

ღონისძიების ფარგლებში „საპატიო ასპინძელის" წოდება მიენიჭათ – ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის ღვაწლმოსილ თანამშრომელს ვლადიმერ (მუხრან) თაქთაქიძეს, საჯარო სამსახურში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ნამუშევარ ნოდარ სურმანიძესა და ნიჭიერ ხელოვანს, თამაზ მელიქიძეს.

იმ დღესვე, მერიის გადაწყვეტილებით, „შოთაობის" დღესასწაულზე, მუნიციპალიტეტის ისტორიაში პირველად, მადლობის სიგელი, 1000-ლარიანი ფულადი ჯილდო და ფასიანი საჩუქრები გადაეცა დამსახურებულ პედაგოგს, სოფელ ტოლოშის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, ლიანა მჭედლიშვილს, რომელიც სსიპ ასპინძის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ შეირჩა.

სახალხო ზეიმზე, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ მუნიციპალიტეტში 2024 წლის მესამე კვარტალში დაქორწინებული წყვილები ტრადიციულად „ვეფხისტყაოსნით” დაასაჩუქრა.

პოეზიის სახალხო დღესასწაულზე ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაწესებული პირველი პრემია (1500 ლარი) ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულ პოეტს მარიზა ჯიქიას გადაეცა.

მწერალთა კავშირის წევრებმა და სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა პოეტებმა საკუთარი შემოქმედებით კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი პოეზიის უდიდეს გენიას შოთა რუსთაველს.

ღონისძიების პარალელურად, გაიმართა ხალხური რეწვის ოსტატთა, მხატვრებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. სპორტული შეჯიბრებები მკლავჭიდში, ჭიდაობასა და საჯილდაო ქვის აზიდვაში მოეწყო. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით სპორტულ ღონისძიებებში გამარჯვებულებს დაწესებული სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

მოწვეულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ ეთნოგრაფიულ კუთხეში, სპეციალურად მოწყობილ ფაცხებში ადგილობრივ სამზარეულოსა და მესხურ ტრადიციებს გასცნობოდნენ.

საზეიმო კონცერტში მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ჯგუფებთან ერთად, ანსამბლი „რუსთავი” მონაწილეობდა.

სოფელ რუსთავში „პოეზიის დღესასწაული – შოთაობა” ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით ყოველწლიურად აღინიშნება.

მაღალ დონეზე ჩავატარეთ არჩევნები

2024 წლის 26 ოქტომბერს სრულიად საქართველოში გაიმართება საპარლამენტო არჩევნები, რომელიც მნიშვნელოვანია იმითაც, რომ საქაართველიოს ისტორიაში პირველად ქვეყნის მასშტაბით ტარდება ელექტრონული არჩევნები, თუმცა უნდა ითქვას, რომ 2018 წლიდან დღემდე ეტაპობრივად სხვადასვა საარჩევნო ოლქში გამართულ შუალედურ არჩევნებზე მოხდა ამომრჩეველთა ვერიფიკაციისა და ელექტრონული ხმის მთვლელი აპარატების გამოყენება.

საარჩევნო ადმინისტრაციამ წლინახევრით ადრე დაიწყო ინფორმაციის მასშტაბური კამპანია, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებსა და რეკომენდაციებს ეხმიანება. N39 ასპინძის საოლქო საარჩევნო კომისიამ, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ბევრი შეხვედრა მოაწყო მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან, საჯარო თუ საგანმანათლებლო სამსახურებთან, სადაც მოხდა დაინტერესებული პირების ინფორმირება თანამედროვე ტექნოლოგიებთან დაკავშირებით; ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საინფორმაციო კამპანია ჩატარდა ივლისში და საინფორმაციო შეხვედრები მთელი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა.

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით არჩევნებში წინასწარი მონაცემებით ხმას მისცემს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 89 პროცენტი, რომელიც მოიცავს 2262 საარჩევნო უბანს, მათ შორის 166 ეთნიკურს. ჩვენს შემთხვევაში N39 ასპინძის საარჩევნო ოლქში შემავალი 9 საუბნო საარჩევნო კომისიაში შესაძლებელი იქნება ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით კენჭისყრის გამართვა, ესენია: N 01 -ასპინძის, N 03 - აწყვიტის, N 04 - დამალის, N 08 - ოშორის, N15 - რუსთავის, N16 — ტოლოშის, N18 - ძველის, N 20 - ხიზაბავრისა და N 23 ასპინძის - საუბნო საარჩევნო კომისიები; ხოლო დანარჩენ საუბნო საარჩევნო კომისიებში არჩევნები ჩატარდება ტრადიციული წესით.

26 სექტემბერს, N39 ასპინძის საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალმა 23 საუბნო საარჩევნო კომისიამ დაიწყო ფუნქციონირება; მათ N39 საოლქო საარჩევნო კომისიიდან უფლებამოსილების განსახორციელებლად, გადაეცათ სხვადასხვა სახის საარჩევნო დოკუმენტაცია და ინვენტარი. მნიშვნელოვანი არი საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ ამომრჩეველთა საინფორმაციო ბარათების დარიგება, რომელშიც მითითებულია ამომრჩეველთა ერთიან სიაში ასახული ამომრჩეველთა პირადი მონაცემები და უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში სიაში ცვლილების წესი; ამომრჩეველთა ბარათები მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ის ასევე შეიცავს ინფორმაციას გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემის სერვისით მოთხოვნის წესთან დაკავშირებით ინფორმაციას;

საუბნო საარჩევნო კომისიებმა ფუნქციონირების დაწყებისთანავე საარჩევნო უბნებზე, თვალსაჩინო ადგილას, გამოკრეს საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ გადაცემული, ცესკოს მიერ დამოწმებული ამომრჩეველთა ერთიანი სიების საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ვერსია, რითიც უზრუნველყოფენ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას ამომრჩევლებისთვის, დამკვირვებელი ორგანიზაციებისა და საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიების წარმომადგენლებისთვის.

ამჟამად ოლქში მიმდინარეობს „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის“ მიერ ორგანიზებული ტრენინგები, სადაც ხდება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების გადამზადება, რათა მოხდეს არჩევნების მაღალი სტანდარტებით ჩატარება, ჩვენი თითოეული, N39 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის მიზანია არჩევნები ჩატარდეს გამჭვირვალედ, მშვიდ და კონსრუქციულ გარემოში, რათა ამომრჩეველმა შეძლოს თავისი ნების თავისუფლად და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გამოხატვა.

არჩევნები ხომ საერთო სახალხო საქმეა!

ნიკოლოზ ლოლაძე,
N39 ასპინძის საარჩევნო ოლქის თავმჯდომარე

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

მიმდინარ წლის 18 სექტემბერს გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სადაც განხილული იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვა საკითხებთან ერთად:

1. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2024 წელში N110-დან N132-ის ჩათვლით, გაფორმებული ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

მომხს: ბ. ბერიძე; ა. ტივაძე.

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ბესიკ ბერიძე.

სხდომას ესწრებოდა „მრავალეროვანი საქართველოს“ წარმომადგენელი ასპინძაში მარიამ ბარძიმაძე.

მაკა ბერიძე

მოსახლეობის გადაწყვეტილებით

რაც დრო გადის, მუნიციპალიტეტის მოსახლეობა სულ ახალ-ახალ სიურპრიზებს იღებს როგორც ადგილობრივი თვითმართველი ორგანოებისაგან, ასევე სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული მრავალი პროგრამული ჩართულობისა და საერთაშორისო დონორების მხრიდანაც. ამჯერადაც სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორაში, აწყვიტაში, ნიჯგორსა და დამალაში დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს გარე განათების დამონტაჟება.

პროექტები მოსახლეობის გადაწყვეტილებით შესაბამის დასახლებებში გამართულ საერთო კრებებზე ხმათა უმრავლესობით შეირჩა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებშიც დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს.

აგარის მონასტერში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს



შუა საუკუნეების ერთ-ერთი შესანიშნავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, აგარის მონასტერი თავის დროზე ძეგლთა დაცვის სამმართველოს ძალისხმევით რეაბილიტირებული იქნა და უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით მოქმედ ტაძარი გახდა. ეს კი იმის ნათელი დასტურია, რომ ქრისტიანული სამლოცველოები მორწმუნეთა სამსახურში დგას და ქრისტიანული მრწამსის აღორძინების საქმეში მნიშვნელოვანი ხდება მათი როლი. ეკლესია-მონასტრების აღდგენის საქმეში დიდია აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ძალისხმევაც, უფრო მეტიც, მუნიციპალიტეტის მერის როსტომ მაგრაქველიძის პირად კონტროლზე იქნა აყვანილი აღნიშნული მონასტრის მიმდებარე ტერიტორიისა და მისასვლელი გზის სრული რეაბილიტაცია. ახლახან კი მიმდინარე სამუშაოები კიდევ ერთხელ მერის პირველ მოადგილესთან დავით პაპაშვილთან ერთად დაათვალიერა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაიგო ბეტონის გზა და ამ ეტაპზე მიმდინარეობს ქვაფენილის მოწყობის სამუშაოები. სარეაბილიტაციო სამუშაოებს აწარმოებს შპს „ არალი'', რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 523 574 ლარს.

გაიხსნა ახალი ბაგა-ბაღი

სოფელ თმოგვში ახალი, თანამედროვე სტანდარტებზე გათვლილი საბავშვო ბაღი ახალციხის, ადიგენის, ბორჯომისა და ასპინძის მაჟორიტარმა დეპუტატმა ანტონ ობოლაშვილმა და ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ გახსნეს.

პროექტის ფარგლებში აშენდა ორსართულიანი საბავშვო ბაღი, რომელიც სამოცაღსაზრდელზეა გათვლილი და დაკომპლექტებულია შესაბამისი პერსონალით.

ახალი საბავშვო ბაღით ისარგებლებს თმოგვის, ნაქალაქევის, ფიისა და მირაშხნის აღსაზრდელები. ბავშვთა ტრანსპორტირებას ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება უზრუნველყოფს.

საბავშვო ბაღის მშენებლობა დაფინანსდა რეგიონში განსახორციელებლი პროექტების ფონდიდან, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 831 800 ლარს.

საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს ახალი სასწავლო წლიდან დახვდებათ კომფორტული, ადაპტირებული და საუკეთესო გარემო.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში

სხვა მრავალ ღონისძიებებთან ერთად მუნიციპალიტეტის მერია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სოფლად განსახორციელებელი პროექტებისათვის ხელშეწყობას, რადგან, როგორც ქალაქს, დაბას, ასევე სოფელს ჭირდება განსაკუთრებული ყურადღება, რამეთუ სოფლის სიძლიერეზეა დამოკიდებული როგორც რეგიონის, ასევე ქვეყნის განვითარება და, უპირველესად, შიდა მიგრაციული პროცესების შეჩერება. თუ სწორედ მათ შევუწყობთ ხელს, როგორც იტყვიან, სოფელიც აშენდება და მოსახლეობას ნორმალური საცხოვრებელი პირობები შეექმნება.

ახლახან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასრულდა ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ მირაშხანში, იდუმალასა და ოთაში შიდა სასოფლო გზების მოწყობა-რეაბილიტაცია, კერძოდ, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, განსაზღვრულ ვადებში დასახელებულ სოფლებში, სხვადასხვა ადგილებზე, დაიგო ბეტონის საფარი. პროექტი მოსახლეობის გადაწყვეტილებით, დასახლებაში გამართულ საერთო კრებებზე ხმათა უმრავლესობით შეირჩა. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებშიც.

ივერიაში დასასვენებელი სკვერი ეეთდება

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ივერიაში საბავშვო სკვერი მოეწყობა.

პროექტით გათვალისწინებულია საყრდენი კედლების, კიბის და პანდუსის მოწყობა. ასევე, გაკეთდება საბავშვო მოედანი, სადაც ატრაქციონები და მოსასვენებლი სივრცე მოეწყობა. სკვერში გათვალისწინებულია გარე განათების ლამპიონებისა და სკამების დამონტაჟება.

პროექტი მოსახლეობის გადაწყვეტილებით, დასახლებაში გამართულ საერთო კრებაზე ხმათა უმრავლესობით შეირჩა და მერიის თანადაფინანსებით ხორციელდება.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებშიც აქტიურად მიმდინარეობს.

უბანს სპორტული მოედანი ექნება

ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის მიზნით, სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია ასპინძის მუნიციპალიტეტში გრძელდება.

ამჟამად დაბაში, გურამიშვილის ქუჩაზე ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს.

მიმდინარე სამუშაოები ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ და მერის პირველმა მოადგილემ დავით პაპაშვილმა დაათვალიერეს.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოეწყობა მინი სტადიონი ხელოვნური საფარით და ლითონის ღობით, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 164 565 ლარს შეადგენს.

სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული ინდ/მეწარმე არტურ პეტროსიანი აწარმოებს.

მთის გზები შეეეთდა

მთა ოდითგან ითვლებოდა და ამჟამადაც ითვლება სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს. იყო დრო, როდესაც საზაფხულო იალაღებით თუ მეცხოველეობის ფერმებით გადატვირთული იყო მუნიციპალიტეტის სოფლების კერძო საკუთრებაში არსებული ტერიტორიები. მოსახლეობას კი მიეწოდებოდა ეკოლოგიურად სუფთამ ხარისხიანი პროდუქცია. დროთა განმავლობაში კი ფერმებმა დაკარგეს ძველი ფუნქციები და თითქოს მივიწყებას მიეცა მათი საქმიანობა. შესაბამისად მოუვლელობით დაზიანდა მთაში მისასვლელი გზები და გაძნელდა უსაფრთხო მიმოსვლა. მიუხედავად იმისა, რომ ნელ-ნელა აღდგენის გზას დაადგა მთის საარსებო რესურსების გამოყენება, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით ამ პრობლემის მოგვარებისათვის გადაიდგა გადამწყვეტი ნაბიჯები და უკვე განხორციელდა მისასვლელი გზების მიწის ნაშალისაგან გაწმენდა-შეკეთების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

აღნიშნულ სამუშაოებს აწარმოებდა ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ქილდა 2015'', რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 34 440 ლარს.

ბავშვთა აღზრდას მეტი ყურადღება!

ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების საბავშვო ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი 16 სექტემბერს განახლდა.

მუნიციპალურ საბავშვო ბაღებში იმ კონკრეტული საბავშვო ბაღის ახლომდებარე სოფლებიდან ხდება აღსაზრდელთა უფასო ტრანსპორტირება, მთლიანად16 სოფლიდან. ერთ-ერთი ასეთი სოფელი დამალაცაა. აქ მცხობრები აღსაზრდელები, რომელთა ასაკი 3-დან 6 წლამდეა, ისინი ირიცხებიან ასპინძის N1 და N2 ბაგა-ბაღებში. რომლებიც სკოლაში მისვლამდე სრულად ეუფლებიან ქართულ ენას და იგი განსაკუთრებით უწყობს ხელს ორი ერის ინტეგრაციადაახლების პროცესებს.

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველმა იცის, წლეულს კარგი საჩუქარი მიიღო კიდევ ერთმა ძირძველმა სოფელმა, კერძოდ, 1 ოქტომბერს ფუნქციონირება დაიწყო თანამედროვე სტანდარტების დონეზე აშენებულმა სოფელი თმოგვის საბავშვო ბაღმა, სადაც სამი ასაკობრივი ჯგუფია განთავსებული, ადაპტირებულია და სრულად აღჭურვილია ინვენტარით და სამეცადინო მასალებით.

სოფელი თმოგვის საბავშვო ბაღი გარდა სოფელი თმოგვის აღსაზრდელებისა, ახლომდებარე სოფელ ნაქალაქევის, ფიის და მირაშხნის სკოლამდელი ასაკის ბავშვებსაც ემსახურება..

ამჟამად მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ექვსივე დაწესებულებაში 430 აღსაზრდელია რეგისტრირებული.

ჩვენი მხრივ ყურადღება და დახმარება არ აკლიათ როგორც თითოეულ ბაღს, მათ აღსაზრდელებს, ასევე მნიშვნელოვანი ყურადღებაა გადატანილი აღმზრდელ-მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებასა და მათთვის ნორმალური პირობების შექმნისათვის.

ელისო გეჟაური

სამუშაოები მალე დამთავრდება

დაბა ასპინძაში მუსიკალური სკოლისა და ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში შენობას სრული რეაბილიტაცია უტარდება – დაიგება ლამინირებული პარკეტი, გაკეთდება თაბაშირ-მუყაოს ჭერი, შეიცვლება კარ- ფანჯრები. შენობა სრულად ადაპტირებული იქნება შშმ პირთათვის.

სამუშაობს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს "ალმე" აწარმოებს და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 355 980 ლარს შეადგენს.

სამუშაოები აქტიურ ფაზაშია და განსაზღვრულ ვადებში დასრულდება.

ულამაზესი ქართული ჭიდაობა

გუშინდელ შოთაობაზე ბევრი რამ იყო საინტერესო და სადღესასწაულო, მაგრამ საჭიდაო მოედანი მაინც ყველაზე ცოცხალი, ხალისიანი და ამაღელვებელი ადგილი აღმოჩნდა. ახლომახლო სოფლებიდან შეკრებილმა მოძიძგილავე, პირტიტველა მორკინალმა ბავშვებმა ისეთი პაექრობა გამართეს, ისეთ ილეთებს აკეთებდნენ, ისე სხარტად და ისე სრულყოფილად, რომ თუ ასეთი რამ გენებში არ გაქვს, რამდენიც უნდა გამეცადინონ, ასე ლაღად მაინც ვერა და ვერ გააკეთებ. დარწმუნებული ვარ, ბავშვების უმეტესობა თვითნაბადი ფალავანი იყო. ბევრ მათგანს მხოლოდ სოფლის მოედნებზე, თანატოლებთან კოტაობაში თუ ჰქონდა ნაცადი და ათვისებული ილეთები და, ამიტომ იყო, რომ აქ ასე ბუნებრივად გამოსდიოდათ ყველაფერი.. მოზრდილ ვაჟკაცთა ჭიდაობა კი ისეთი ცეცხლოვანი და დაძაბულ იყო, მარტო მესხეთისა კი არა, სრულიად საქართველოს პირველობასაც კი დამშვენდებოდა. ცხადია, შერკინება ზოგმა მოიგო და ზოგმაც წააგო, მაგრამ, უნდა გენახათ, როგორ შეგნებულად ურიგდებოდა ყველა თავის ბედს და როგორ ვაჟკაცურად და მეგობრულად ამხნევებდნენ მოგებულებიც და წაგებულებიც ერთმანეთს. მესხეთის გულში გამართულმა ამ ლამაზმა და ცეცხლოვანმა ჭიდაობამ, ბევრის მსგავსად, გული მეც ისე ამიჩქროლა, რომ სიხარულისაგან თვალები სულ მისველდებოდა. ვუყურებდი და ვფიქრობდი, როგორ შეიძლება ასეთი ვაჟკაცური და ულამაზესი ქართული ჭიდაობა არ იყოს აღიარებული ოლიმპიური შეჯიბრებების სახეობად? იმიტომ ხომ არა, რომ ეშინიათ ამ პატარა ქვეყნის მოჭიდავეების ისედაც ფენომენალური შედეგებისა?..

კუკური მეტრეველი

ასპინძის სიმღერის ანსამბლი. 1966 წელი. სურათი მოგვაწოდა ქეთევან ლოლაძემ

მარჯვე კაცი

როდესაც წარსულის ფურცლებს გადავშლით, ბევრი ისეთი რამ გვახსენდება, რომელიც ტკბილი მოგონებებით არა მარტო წარსულში გვაბრუნებს, არამედ თვალნათლივ წარმოგვიდგება ის დადებითი მოვლენები, რომელთა თანამედროვე ცხოვრებაში გადმოტანა, გაანალიზება, განხილვა და ცხოვრების წესად გადაქცევა გვასწავლის, რა შეცდომები დავუშვით, რა ვერ გავითვალისწინეთ და ახლა მაინც უნდა შეგვწევდეს ძალა, რომ წარსულის შეცდომების გამოსწორება შევძლოთ.

ასპინძა, ხშირად ვამბობთ, ერთი პატარა სოფელი იყო, რომელიც სხვა სოფლებისაგან თითქმის არაფრით განსხვავდებოდა, მაგრამ მასაც ჰქონდა რაღაც ისეთი, რაც სასიამოვნო მოგონებად გვრჩება და ამ თვალსაწიერიდან გვახსენებს გარდასულ დღეთა ტკბილ მოგონებებს. ცხადია, წარსულშიც უნდა ვეძებოთ კარგი და მისაბაძი, თორემ ყველაფერი ცუდი რომ ყოფილიყო, არც სოფელი აშენდებოდა და არც ერთმანეთის კეთილმოსურნე ხალხი გვეყოლებოდა, რომლებიც სამარადჟამოდ მისცემდნენ დავიწყებას იმ წარსულს, რომელმაც დღემდე მოგვიყვანა.

დიახ, დღემდე გვახსენებს თავს ადამიანთა შორის ის ტკბილი ურთიერთობები, ერთმანეთის მიმართ პატივისცემა და სიყვარული რომ ერქვა სახელად. ეს ადამიანთა ურთიერთობებს რაც შეეხება...

მიუხედავად იმისა, რომ არც გზა ვარგოდა, არც ქუჩები იყო კეთილმოწყობილი და მოსახლეობასაც ძირითადად მიწურ ბინებში უხდებოდა ცხოვრება, ოაზისივით მაინც იყო ადგილები, სადაც ადამიანებს შეეძლოთ ნორმალურად გაეტარებინათ დრო და დაესვენათ. ხალხიც უფრთხილდებოდა იმას, რაც ღმერთისგან იყო ბოძებული. ასე შემორჩა ჩვენს მეხსიერებას დაბის ცენტრში კულტურისა და დასვენების პარკი, რომელიც შესანიშნავად იყო მოვლილი და აშკარად ეტყობოდა მზრუნველი კაცის ხელი. მაგრამ დროთა განმავლობაში ამ პარკმაც დაკარგა თავისი ფუნქცია, ამორტიზირებული კინოთეატრის, ე.წ. კარუსელის, დეკორატიული წყაროსა თუ აუზის უმეთვალყურეოდ მიტოვებამ კი საქონლის დიდ სადგომად აქცია იგი და თითქმის განადგურებამდეც მიიყვანა.

საბედნიეროდ, უკანასკნელი ათწლეულია დაბაში ბევრი თვალშისაცემი მოვლენა განვითარდა და სრულიად იცვალა მან იერსახე, უპირველესად განვითარდა მისი ინფრასტრუქტურა, არ დარჩა არცერთი ქუჩა, ჩიხი თუ უმნიშვნელო ადგილიც კი, რომელსაც არ შეეხო მზრუნველი ხელი და, უნდა ითქვას, – გუშინდელი უპერსპექტივო ასპინძა რეგიონში ერთ-ერთ საუკეთესო დასახლებულ პუნქტად და ტურისტულ ადგილად იქცა, – ყოველდღიურად თვალშისაცემი ხდება მისი ხვალინდელი დღის პერსპექტივა.

დაბის სინამდვილეში განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს რეაბილიტირებული კულტურისა და დასვენების პარკი, რომელიც მთელ რეგიონში, დამაჯერებლად შეიძლება ითქვას, ყველაზე ლამაზ პარკად ითვლება, რომელსაც, დღიდან ექსპლუატაციაში შესვლისა, არ აკლია მზრუნველობა და ყურადღება. თუმცა ერთია პარკის გაკეთება, მაგრამ უმთავრესი მაინც მისი მოვლაა.

დიახ, თუკი უყურადღებოდ მივატოვებთ, ის უმალ დაკარგავს თავის პეწსაც და დანიშნულებასაც. აბა, ერთი წუთით თვალი გადავავლოთ პარკის შემოგარენს. ყველა ახლად დარგული ხე გახარებულია, პარკის კორომები იმ სტანდარტით გამოიყურება, როგორიც უნდა იყოს, პარკის შიდა საფეხმავლო ბილიკები მუდამ დასუფთავებული და ჯეროვნად მოვლილია. დეკორატიული აუზის მიმდებარედ ხშირად ბავშვთა ჟრიამულის ხმა ისმის, დღემუდამ დასხურებით ირწყვება მწვანე საფარი და თითოეულ გოჯ მიწას პატრონის ხელი ატყვია, ხშირად იღებს პარკი საჭირო სინესტეს, რაც ხე მცენარეებს ეგრერიგად ესაჭიროება განსაკუთრებით ხანგრძლივი და გაუსაძლისი სიცხეების პერიოდში. და ეს უპირველესად ამ პარკის ზედამხედველისა და მომვლელის ზურაბ დავლაშერიძის დიდი დამსახურებაა, რომელსაც ყოველ დღე, გათენებიდან დაღამებამდე, არ აკლია მისი მარჯვენის მადლი. იგი მზრუნველობას არ აკლებს მას და სულ იმის ცდაშია, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი დაბის მოსახლეობას და, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, ნორმალური დასვენებისათვის.

ზურაბ დავლაშერიძეს შრომისმოყვარეობა ბავშვობიდან მოსდევს. სოფელ ტოლოშში დაბადებულ კაცს მთელი თავისი ცხოვრება პატიოსან შრომაში აქვს გატარებული. იგი წლების მანძილზე მუშაობდა ტოლოშის კოლმეურნეობაში, ასპინძის ავტოსატრანსპორტო გაერთიანებაში, ფოთის კომუნალურ საწარმოთა კომბინატში ზეინკლად, ასპინძაში – მეხანძრედ და ა.შ. და არ ყოფილა შემთხვევა, რომ მინდობილ საქმეს ნებისმიერ სამუშაო უბანზე ზერელედ მოჰკიდებოდა. სწორედ ამან განაპირობა, რომ ახალ სამუშაო უბანზეც იგი მისაბაძი კაცია და ოჯახისა თუ სამსახურის საქმიანობას ერთმანეთთან შესანიშნავად უხამებს.

სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი ახალგაზრდა ცდილობს უდიერად მოეპყროს ბაღის ინვენტარს და შეგნებულად დააზიანოს, ზოგიერთი კი, ვინც მოზარდისთვის მაგალითის მიმცემი უნდა იყოს, თავად ანაგვიანებს პარკს. თუმცა ზურაბის მახვილ თვალს არ ეპარება მათი ქცევები, არაერთი მსგავსი ფაქტი აღკვეთა და დაზიანებას გადაარჩინა ძვირადღირებული ინვენტარი. იგი შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებს, რომ აქ ყოველთვის იყოს დაცული სისუფთავე და წესრიგი.

ზურაბ დავლაშერიძე ასპინძის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურის ერთ-ერთი თვალშისაცემი სახეა, რომლის მსგავსი ადამიანების იმედადაა აღნიშნული სამსახურის გამართული მუშაობა.

კულტურისა და დასვენების პარკი თითოეული ჩვენგანისაა, მისი მოვლა-პატრონობა კი მათთან ერთად ჩვენი ვალიცაა!

ავთანდილ მესხი

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია